

# კოოპერატივთა აქტივის

## კ რ ე ბ ა შ ე

საწარმოო გაერთიანება „საქ-ქალაქმშენებელი“ კულტურის სახელში გაიმართა ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მომსახურების სფეროს კოოპერატივთა აქტივის კრება.

მოსხენებით—კოოპერატიული მოძრაობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ გამოკვიდა საქართველოს წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივთა რესპუბლიკური კავშირის თავმჯდომარე მ. ზანდიალანი.

კრებაზე აღინიშნა, რომ ქალაქ ზუგდიდისა და სუგდიდის რაიონში რეგისტრირებულია 2000-მდე კოოპერატივი, საიდანაც ფუნქციონირებს 1200-ზე მეტი. მათმა წლიურმა საშუალო ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 30 მილიონ მანეთზე მეტი. აქედან რაიონის ბიუჯეტში გადაიხარება 3 მილიონ მანეთზე მეტი.

კოოპერატიულმა სექტორმა გასულ წელს რესპუბლიკის ბიუჯეტში 195 მილიონი მანეთი შეიტანა. ცხადია, ეს ციფრი მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად აღდგება. მიუხედავად ამისა, კოოპერატიული მოძრაობის ბევრი მოწინააღმდეგე ყავს. ზოგიერთი ხელმძღვანელი თუ რიგითი ფუნქციონერი სიტყვით სებაზროტონობისა და მისი პარმოს კოოპერატიული მოძრაობის მომხრეა, ხოლო საქმით ხელს უშლის მას.

კოოპერატივები ხშირად გამოიქვეყნებენ საყვედურს სხვადასხვა სკანდალების მიმართ. ასე იყო

მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც. მათ სტაბილიზაციის ფონზე უკანონოდ გადახდებიან გაცემული ხელფასის 11 პროცენტი, ასევე საკუთარი ძირითადი საშუალებების ამორტიზაციას და არცხელი თანხების 20 პროცენტი. აღნიშნულის სალიკვიდაციოდ საკითხი გაერთიანების კავშირის მიერ დაყენებულ იქნა რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რათა უკანონო გადასახადები მეორე კვარტალიდან მოეხსნას.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო საქვერო შესატანების, კოოპერატივების საქმიანობის შემოწმების და სხვა საკითხებს.

აქტივის კრების მონაწილეთა შეკითხვებზე პასუხები გასცეს და ცალკეულ საკითხებზე თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვას რაიონისა და ქალაქის კოოპერატიორთა გაერთიანებების თავმჯდომარეებმა ი. თორდიაშვილმა და კუტალიამ.

აქტივის კრებამ განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება

კრებამ ესწრებოდნენ საქართველოს წარმომხსნა და მომსახურების სფეროს კოოპერატიორთა რესპუბლიკური კავშირის თავმჯდომარის მოადგილეები ა. ქვაჩხვაძე და შ. ნემსაძე.

### ბ. კვარაცხელია,

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

გამომცემლობა „განათლება“ კარგი საქმე გააკეთა იმით, რომ გამოუშვა მარკიზ დე კუსტინის წიგნი—„ნიკოლოზ პირველის დროინდელი რუსეთი“.

ამ წიგნი ცნობილია ფრანგმა ბუბლიცისტმა და მწერალმა უშუალო სტილით გადმოგვცა 1839 წელს რუსეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებები. ავტორი მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს იმ დროის ცხოვრების მრავალ მხარეზე. კრიტიკული ბათოსით არის აღქმული მაშინდელი რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ხელისუფლების სათავეში მოქცეულ წარჩინებულ ადამიანთა ყოფა, ყმა-გლეხების სიდუხჭირე. მხილებულია ყოველნაირი გამეფებული უკანონობა, ძალადობა, სიყალბე და თვალთმაქცობა.

აღნიშნულ წიგნი ავტორი სამართლიანად წერს რუსეთის ცხოვრების როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ მხარეებზე. მიანიშნებს რუსი ადამიანის ხასიათის მთელ რიგ ღირსებებზე. ყოფით ჩვევებზე, ცხოვრების წესზე. ამასთან ნაჩვენებია ის დრომოქმული საზოგადოებრივი წყობილება, მმართველობის ელური ფორმები და მეოთხეობა, რაც გარკვეულწილად ზნესა და ხასიათს, ბუნებას უცვლიდა რუს ხალხს.

რუსი ხალხის უნუგეშო ყოფა ამ მცირე ნაწიგეგშიც ჩანს. რუსეთში ადამიანის სიცოცხლე ისე შევიწროებულია, რომ მეგონია საღმრთო გადარჩევას ყველა იცნებობს. მაგრამ ეს იცნე-

# დემოკრატია უშუალოდ

ბა ვერ ხორციელდება სინამდვილეში. აზნაურებს პასპორტებს არ აძლევენ, გლეხებს კი ფული არა აქვთ. და ყველანი ერთად გილას რჩებიან, თავ თავიანთ კუთხეებში სხედან მოთმინებით და უიმედო სიმამაცით. თვითუარყოფა და მორჩილება, რომელიც სხვა ქვეყნებში სიკეთედ ითვლება, აქ ბოროტებად იქცევა, რადგანაც იგი ხელს უწყობს ძალმომრეობითი წესწყობილების უცვლელობას.

აქ საკითხი პოლიტიკურ თავისუფლებას კი არ ეხება, არამედ პიროვნების დამოუკიდებლობას. მოძრაობის თავისუფლებას და თვით ადამიანის ბუნებრივი გრძობების გამოქვავებას. მონები მხოლოდ ჩუმად და ხმა-ამოუღებლოდ ჩხუბობენ, რადგანაც სიბრაზე ძალაუფლების მქონეთა პრივილეგიაა. რაც უფრო მეტს ვხედავ ისეთ ადამიანებს, რომელნიც ასეთი რეჟიმის დროს გარეგულად მშვილად გამოიყურებიან, მით უფრო ძალიან მეტრატებიან ისინი. სიმშვიდე ან მათარბის—ასეთია დილემა ყველასათვის. მათარბის როლს წარჩინებულ წოდებისთვის ასრულებს ციმბირი, ხოლო ციმბირი რუსეთში კვადრატში აღებული“...

რამდენიმე მინაწერი: რაოდენ დასანანი, რომ ფრანგი ავტორის მიერ შეუფერადებელი სიმართლით დახატულ იმეამინდ-

ელ სლავურ იმპერიას ზევრი რამით დღევანდელი სახეობა რუსეთიც ჩამოგავს. 74 წლის მანძილზე აქ გამეფებულმა ტოტალიტარულმა მსოფლმხედველობამ ყოველნაირად შეუწყო ხელი რუსული ყოფის ნეგატიური მხარეების კიდევ უფრო გაფუჭებას. ჩვენდა სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირი აღმოჩნდა ერთბაშად რტიული, ცენტრალიზებული მართვის ის საშინელი მოდელი, რამაც ძალაში დატოვა პროგრესული აზრისათვის დევნა, ზემონიშნის და კაცთმოყვარეობის იგნორირება, ბიუროკრატიული აღვირახსნილობა და თვითნებობა, დაჩაღვებული აზროვნება და უანდარბული სისასტიკე.

ეგრეთწოდებული „გორბაჩოვისეული პერსპექტივა“—ეს არის გარკვეულწილად შინაგანი წინააღმდეგობების, აუხსნელი და საბეჭო მოტივების შემცველი, მაგრამ მაინც ერთგვარი რეალური შანსი იმისა, რომ რუსეთში თანდათან თავი დაადლოს იმპერიული რეჟიმის მარწყუნებს, ჩამორჩენილობის, ბოროტების, უკანონობის საშიშროებისა და ჩადგენ მსოფლიოს მოწინავე, ცივილიზებული, დემოკრატიული სახელმწიფოების რიგებში.

დემოკრატია უსმინოს რუსეთის დემოკრატიულ ძალებს, მის გულმხურვალე პატრიოტებს.

ქ. თელია.

### ჩავილილი წლავის მკო

მშობლიურ ქალაქთან, სახელგანთნ თანამემამულესთან დაკავშირებული ყოველი ეპიზოდი სასიამოვნო ემოციებს იწვევს ხოლმე.

ამ სტრიქონების დასაწერად განგვაწყო ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ჭელიძის წერილი „აპოტის უკანასკნელი დღეები“, რომელიც შესულია 1987 წელს გამოცემულმა „მერანის“ მიერ გამოცემულ წიგნში: „ცხოვრება ივანე ჭავჭავაძისა“, „ლიტერატურული მორტრეტები“.

ამ რამდენიმე ხნის წინათ პოეტ ბლექსანდრე სეკაიას სახლმუშეუმის განსწავლში მოძღვნილ საწვიმო საღამოზე ჩამოსული მწერალი უზომო სიყვარულითა და გულწრფელობით გვესაუბრა თავის ოდიშელ გულისმძაწე, ტრაგიკული ზვედრის ლირიკოსზე. მოიგონა არაერთი ზუგდიდელი, რომელთაც შეხვედრა მას არა უნა განგებამ 20-იან, თუ ორმოციან წლებში. უსაზღვრო სიბოძო და მაღლიერება იღვრებოდა ბატონი ვახტანგის ბავიდან. არა ერთგვის ცრემლიც გაბრწყინდა მის თვალებზე, როცა იკონებდა მომავლევი ალიოზა სეკაიას სანახავად ზუგდიდიდან შეტიაში მგზავრობის ცალკეულ პერიპეტებს.

ამჯერად შეკითხვლებს ვთავაზობთ ორ მომცრო ნაწიგეგბს აღნიშნული მწერილიდან, რომელშიაც ორი ჩვენებური კაცის სილუეტი იღანდება:

# უხეაუროდ, სიყვარულით

## ბ. ჯ ვ მ დ ნ ე ნ

...ზუგდიდში ერთი კაცის იმედი მქონდა, სხვას არავის გიცნობდი. ეს კაცი გახლდათ ალე თორქია, ადგილობრივი პოეტი, რომელიც რაღაც სამეურნეო საქმეზე მუშაობდა. მას რამდენჯერმე შეხვედრივარ. გულითადი კაცი იყო, თხზავდა უმთავრესად საღამოთ ლექსებს. და ეს ლექსები ზეზირად გრცელდებოდა მისი მეგობრების წრეში. ამ კაცის დახმარებით დაუკავშირდით მესტიას და გავიგეთ, რომ ჩემს აჩქარებას აზრი აღარა მქონდა...

მაგრამ რა უნდა მექნა, ზუგდიდში რა მომსვენებდა. სოფელში ვერ ავდიოდი, უბედურ დედასთან, რომელმაც მხოლოდ ის იცოდა, რომ თავისი ერთადერთი შვილი უქეიფოდ იყო და დღე-ღღეზე ელოდებოდა. მაშა იქ იყო, სვანეთში. რეზოც სვანეთში იყო და ყველაზე ნაცოდები ანდა სწორედ იმ იქნებოდა. ადგი თორქია არ მომეშორებია, სანამ არ მივაგენით ნაბარგო მანქანას, რომელიც მესტიაში ვახტანგისგან ემზადებოდა... წერილის სხვა ადგილას გვითხულობთ:

...ოცდაათიან წლებში თბილისში დადიოდა ერთი ძალიან ხოტორი და საინტერესო კაცი. პატარა კაცი იყო, ჭიკაძე ვეერი მკერდზე მქონდა ჩამოშვებული. და რამდენს დავინახავდი: ერთი მტკაველა ბერიკაცისა და ცხრა

მტკაველა წვერის ზღაპარი გამახსენდებოდა ხოლმე. მართლაც ერთი ციდა კაცი იყო, ეცვა უბეში ბრეზენის მონტაჟისფრო ლაბადა, ხელში ჯიხი ეჭირა და ქუჩაში მშვიდი ნაბიჯით დადიოდა. ეს გახლდათ პავლე აკობია. განათლება შვეიცარიაში მიეღო, მაგრამ, ახირებული იყო, ასე უცნაურად დადიოდა, ზაფხულობით თავის მშობლიურ ზუგდიდში ჩავიღოდა ხოლმე—საწოლი ხეზე მქონდა მოწყობილი; ხეზე იძინებდა. იმ დროს თბილისში ხშირად იმართებოდა საგანმანათლებლო ლექციები ფილოსოფიის, ისტორიისა და ლიტერატურის თემაზე. გამოდიოდნენ გამოჩენილი მეცნიერები და ახალგაზრდობა ინტერესით ისმენდა ამ ლექციებს. დარბაზში ტევა არ იყო ხოლმე. მახსოვს ერთი ლექცია მასწავლებლის სახლის დიდ დარბაზში. ლექციას კითხულობს ერთი ცნობილი მეცნიერი. თემა რუსთაველის მსოფლმხედველობა დარბაზი გაქვილია და იქვე მის პავლე აკობია. მეცნიერმა ბევრი ახირებული აზრი გამოთქვა რუსთაველზე, ხარკი ვადაუნადა რაპელების ვულგარულ-საცილოლოგიურ შეხედულებებსაც, რაც იწერით კიდევ მოდიოდა. ლექცია რომ დამთავრდა,

პავლე აკობიამ ხელი იიწია და სიტყვა ითხოვა. დინჯად გამოვიდა სცენაზე ეს პატარა კაცი, თავისი განუყრელი ლაბადა არც ახლა გაუხდია, არც ჯიხი მოუცილებია. გამოვიდა და პირდაპირ დიწყო: ალბათ ყველას გახსოვთ ცნობილი არაკი ბრემებზე, სპილოს რომ მოუყვანენ და ეტყვიან, გა-მოიცანით, რა არისო. ერთმა ფეხს შეავლო ხელი და კუნძიო, თქვა. მეორე ხორთუმს წაეპოტი ნა და იმან რაღაც სხვას მიამს-

გავსა. მესამე კიდევ რას... დღევანდელმა ლექციამ ეს არაკი მომეგონა. ბევრს ლაბარაკობენ რუსთაველზე, მაგრამ მთავარო, რითაც რუსთაველია ძვირფასი, მიუგნებელი რჩება. მეტი აღარაფერი უთქვამს. ამით დამთავრა ტაშის გრიალში თავისი მოკლე გამოსვლა იმ უცნაურმა კაცმა და არავისთვის არ შეუხედავს, ისეთივე მშვიდი ნაბიჯით გასასვლელისაკენ წავიდა“.

წ. ცხინდია,

# თანადგომის

თავსდატებილია სტიქიურმა უბედურებებმა და სხვა ათასგვარმა საერთო გასაჭირმა ერთ მუშტად შეგვკრა. დასტურ წეგობრობისა და თანადგომის არაერთი საუკეთესო მაგალითი გამოვლინდა ამ ბოლო ხანებში. ფეხზე დამდგარ ქართველებს არც ზუგდიდელი გავდგომიან. ბევრი ინდივიდუალურად ჩადის დაზარალებულ ზონაში და საკუთარი სახსრებით შეძენილ ნობატოს სთავაზობს გულმეჭირვებულ ხალხს. ჩვენი თანამემამულეები ეგვიპტე ჩავიდა ონში. 200 კალოგრაში პური, 60 ქილა თევზის კონსერვი, 60

შეგვრა სიგარეტი, ასანთი, ტანი სამოსი (ზავშეგბისა და ქალბისათვის) ჩაიტანა დაზარალებულთათვის. ამ დღეებში, აღმაშენებლის ქუჩაზე, გ. ეგვიპტის სახელზე ონის რაიონის პრეფექტის ო. ნავროს-აშვილის ხელმოწერით სამადლო ბელი ბარათი მოვიდა, რომელშიც ეწერა: „დემოკრატია სიკეთით გადავიხადეთ გავრეული ამავი“. როცა დღევანდელ ჩვენს ყოფას გადავავლებთ თვალს, ადვილად მივხვდებით: საქართველო ისეთ გოლგოთაზეა შემდგარი მოყვასის სიყვარული და ურთიერთგატანა თუ იხსნის მხოლოდ.



# ისარგებლეთ დაზღვევის სიკეთით

დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რენტაბელურ, მომგებიან წარმოება-დაწესებულებათა შემდგომ განვითარებას. იმ წარმოება-დაწესებულებათა შორის, რომლებიც ქმნიან სარეზერვო ფონდებს გადამწვევით მნიშვნელობა ენიჭება. სახელმწიფო დაზღვევას ამდენად, სახელმწიფო დაზღვევა არის ფულადი სარეზერვო ფონდის შექმნის ერთ-ერთი ფორმა, რომლის დახმარებითაა კომპეტენტების, მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქარმოების და მოქალაქეებისათვის სტიქიური და უბედური შემთხვევებისაგან მიუხედავად უზრუნველყოფა.

ცნობილია, რომ სტიქიური ძალები დიდ ზიანს აყენებენ მატერიალურ ფასეულობას, ირღვევა საწარმოო პროცესები, ასეთ შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაზარალებულ მეურნეობათა დასაბრუნების გაწევას, დაზარეული და, დაზიანებული შენობა-ნაგებობებ

ის, აგრეთვე საწარმოო საშუალებათა აღდგენას, უამისოდ კი შეუძლებელი იქნება წარმოების პროცესების უწყვეტობის მიღწევა. ცხადია, რომ ამისათვის წინასწარ უნდა შეიქმნას სარეზერვო რესურსები. სადაზღვევო ფონდის ეს რესურსები საქარმოებისამებრ გამოიყენება ზარალის ასანაწარმოებლად.

სადაზღვევო ფონდი იქმნება იმ შენობებისაგან რომელიც შემოღობის კომპეტენტებისგან, მეურნეობებისგან და მოსახლეობისგან, ამდენად, დაზღვევის ანგარიშზე გადახდილ ყოველ მანეთს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სახელმწიფო დაზღვევა მკიდროდა დაკავშირებული მშრომელთა ინტერესებთან. იგი მოწოდებულია დახმარების აღმოსაჩენად საგანგებო სიტუაციაში.

კომპეტენტების, მეურნეობების და მოსახლეობის სადაზღვევო შენობებით შექმნილი სადაზღვევო ფონდი, გადაწვევების წესით ხმარდება თვით კომპეტენტების, მეურნეობების ეკონომიკისა და მშრომელ-

თა მატერიალური კეთილდღეობის განმტკიცებას. ამიტომ სახელმწიფო დაზღვევა, როგორც საფინანსო კატეგორია, ეროვნული შემოსავლის გადაწვევებისა და გამოყენების ერთ-ერთი ფორმაა. ამ განწვევების საერთო მიზანია საზოგადოებრივი წარმოების განმტკიცება და საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, სახელმწიფო დაზღვევას გააჩნია ორი ფორმა: ქონების პირდაპირი დაზღვევა და დაზღვევის დაზღვევა ტარდება დამაზღვეველისა და დაზღვევის ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულების, ხოლო სავალდებულო დაზღვევა კანონის საფუძველზე. სახელმწიფო დაზღვევის ობიექტები ხორციელდება ფულად გამოსახლებად, ამიტომ ქონების დაზღვევისათვის საქარმოებისაგან განსაზღვრულ იქნა მისი ღირებულება, ე. ი. განსაზღვროს ქონების სადაზღვევო შეფასება. დაზღვევა ტარდება კომპეტენტების, მე-

ურნეობებში, ორგანიზაციებში, მოქალაქეთა მეურნეობებში.

კომპეტენტების და საზოგადოებრივი ორგანიზაციებში სავალდებულო დაზღვევას ექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ცხოველები, შენობები და სხვა ქონება, ხოლო მოქალაქეთა მეურნეობებში ირღვევა შენობები და ცხოველები სავალდებულო და ნებაყოფლობითი წესით, საოჯახო ქონება და სატრანსპორტო საშუალება კი მხოლოდ ნებაყოფლობითი წესით.

ასევე ჩვენთან ფორმდება შვიდი სხვადასხვა სახეობის პირადი დაზღვევები. უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლის შერეული დაზღვევის ხელშეკრულებას (რომელიც მოქმედებაში იყო 1991 წლის მარტისთვის) დაერიცხება საქომბენსაციო თანხა 40 პროცენტის ოდენობით.

ჩვენს პირობებში როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფლობითი დაზღვევას აქვს პერსპექტივა.

1989 წლის 1 აპრილიდან შეზღუდულია სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაზიანებაზე გადასულ სახელმწიფო საწა-

რმოების ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევა, რომელიც 1992 წლიდან (როგორც აუცილებლობა მოითხოვს) უნდა გახდეს სავალდებულო.

ზუგდიდის მოსახლეობას გაცნობებთ, რომ დაზღვევის ადრე მოქმედ კანონმდებლობაში არ არის არავითარი ცვლილებები, როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფლობითი დაზღვევის ადრე მოქმედ წესები.

მოქალაქეთა მეურნეობებში სავალდებულო დაზღვევის გადახდის ბოლო ვადა 1 აგვისტოა. ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველდღიურად დაერიცხება 0,1 პროცენტი.

მოქალაქეებმა გარანტირებული რომ იყვნენ ზარალის ანაზღაურებით, აუცილებელია გააფორმონ: შენობების, საოჯახო ქონების, ცხოველების, სატრანსპორტო საშუალებების ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებები.

დ. ჯანაშია,

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი.

ავტორის თხოვნით მონორა. გადარიცხება სახელმწიფო ინსპექციის უფროსი.

## ახალი რუბრიკა არის ასეთი ქვეყანა

გაზეთი გთავაზობთ ახალ რუბრიკას „არის ასეთი ქვეყანა“. მასში მკითხველი გაცნობა უფრადსაღებ მასალებს სხვადასხვა სახელმწიფოების შესახებ, ძუნწად, მაგრამ მაინც შევიცნობთ აქ მოსახლე ხალხის ადამ-წესებს, ისტორიულ წარმოშობას, მეურნეობრივ ტრადიციებს. პირველ რიგში მკითხველს წარვუდგინოთ იმ სახელმწიფოთა „იმეჯის“, რომლებიც ჩვენი ინტერესების სფეროში შემოდიან.

რუბრიკის დებიუტად შემოგთავაზებთ ინფორმაციულ მასალას ჩვენი ისტორიული მეზობლის—თურქეთის შესახებ:

## არის ასეთი ქვეყანა

თურქეთი ევრო-აზიული ქვეყანაა. მისი ტერიტორია შეადგენს 779,4 ათას კვადრატულ კილომეტრს. მოსახლეობის რაოდენობა 1985 წლის აღწერით აღწევს 51,4 მილიონს. ძირითადად სახლობენ თურქები, აგრეთვე ქურთები, არაბები, ქართველები და ა. შ. დედაქალაქია ანკარა, რომლის მიტოვრებთა რაოდენობა 3,5 მილიონს უდრის, სახელმწიფო ენა თურქულია, გაბატონებული რელიგია გახლავთ ისლამი (სუნიტები).

1918-1923 წლებში აქ განხორციელებულმა ეროვნულ-გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ მიიღწია ბურჟუაზიულ რესპუბლიკის გამოცხადებას, რომლის პირველი პრეზიდენტი გახდა დიდი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი მუსტაფა ქემალ ათათურქი, მისი ხელმძღვანელობით თურქეთში გატარდა მნიშვნელოვანი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რეფორმები.

ათათურქის სიკვდილის შემდეგ

1938 წლიდან თურქეთი ადგას ამერიკულ ორიენტაციას თავის საგარეო პოლიტიკაში, 1952 წელს იგი შედის „ნატოს“ შემადგენლობაში. 1959 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ამ უკანასკნელს დაერთო ნება თურქეთის ტერიტორიაზე ჰქონოდა სამხედრო ბაზები. ამის კვალობაზე ამერიკისთან დადებულ იქნა არაერთი ხელშეკრულება და მეორიხედში, რომლითაც ამ ორი ქვეყნის ინტერესები კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს.

ქვეყანაში თავჩენილი სოციალურ-ეკონომიკურმა სინდულეებმა 1980 წელს გამოიწვია სამხედრო გადატრიალება, ხელისუფლების სათავეში მოვიდა გენშტაბის უფროსი კ. ევრენი.

1982 წლის ნოემბერში საყოველთაო განხილვის შემდეგ ძალაში შევიდა ქვეყნის ახალი

კონსტიტუცია, რომელმაც სახელმწიფოს მეთაური ბაქურჯა ფართო საქონამდებლო და აღმასრულებელი უფლებებით 1983 წელს მიღებულ იქნა კანონი პარტიების შესახებ, რომელმაც მოახდინა მათი მკაცრი რეგულაციები. 1983 წელს არჩეულ იქნა თურქეთის პარლამენტი.

თურქეთი რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება უკუთვნის დიდეროვნულ კრებას— ერთპარტიულ შარლამენტს, რომელიც ირჩევა ხუთი წლის ვადით.

ქვეყნის ეროვნული შემოსავალი 1984 წლისათვის გადამდებული იყო 5,9 პროცენტით. მსხვილი სამრეწველო საწარმოები, საბადოები, მადაროები, ელექტროსადგურები ეკუთვნის სახელმწიფო სექტორს.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 55 პროცენტი. აგრარულ სექტორში ერთმანეთს ავსებენ მსხვილი მიწათმოკლეობები და მცირე გლეხური მეურნეობები.

ფულადი ერთეულია თურქული ლირა. 1985 წლის მონაცემებით 1000 ლირა ეტოლდება 1,49 მანეთს. იმპორტი ძირითადად წარმოადგენილია ნავთობ-ბოლქვებით, სამრეწველო ნედლეულით, სხვადასხვა მანქანა-მანქანობით. მთავარი სავაჭრო პარტნიორებია: გერმანია, ირანი, ამერიკის შეერთებული შტატები, ირანი, ლივია.

## ზოგი რამ ჩვენი წარსულიდან

### ზუგდიდის რკინიგზის შესახებ

ქართულ ტრენიჟორ საზოგადოებაში ინიც. ბ. კვიციანი წაიკითხა მოსვენება შემდეგ თემებზე: „ახალ-სენაკ-ზუგდიდის რკინიგზის“ მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ე. ალშიბაიამ, გ. კახაბერი, მ. კრანცმა, პ. მამრამი და სხვ. ბოლოს გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „ვიინიდან შავი ზღვის სანაპირო რკინის გზას აქვს დიდი სატრანსპორტო მნიშვნელობა, რაც ამართლებს ამ რკინისგზისთვის გაწეულ და მოულოდნელ ხარჯებს, ვინაიდან მთავარი ლიანდაგის ზუგდიდზე გაყვანა გამოიწვევს გაკეთებული მიწის მუშაობის და ხიდების

უწყყოფელ მიტოვებას 20 კერსზე და ახალი ლიანდაგის გაყვანას არა ნაკლებ 28 კერსზე. მანძილზე და ვინაიდან სატრანსპორტო მაგისტრალის მიმართულება არ შეიქმნა დემონსტრაციული პატარა ქალაქების ავტობობრივ ინტერესებს, მთავარი ლიანდაგის მიმართულების შეცვლა იმ მიზნით, რათა მან ზუგდიდზე გაიაროს, ურყყოფილ უნდა იქნეს“.

ინიციარ ბ. კვიციანის მოხსენება დაბეჭდილ იქნება „საქართველოს ეკონომისტის“ მასლობელ ნომერში.

მ. კახაბერი,  
„საქართველო“, 1916 წ. 30 გიორგობისთვე (№281)

## ჩამი—91

### გამორჩეულნი

მეზობელია, რომ იტყვიან „სათათეთ აწყობილი“ ბრიგადა კოლხიდის კომპეტენტობაში. მისი ხელმძღვანელი კარლო შეროშია კი ის კაცია, რომელმაც იციას რა აკეთოს, რით არგოს ხვდინდელ საქართველოს. ბრიგადის წევრებს საზოგადო საქმე საქუთარ საქმედ მუხრნევიან და სავანეებოდ უფლიან გაბირივებულ 7 ჰექტარ ჩიანს პლანტაციას, საიდანაც სავარაუდო პროდუქტით უნდა მიიღონ 60 ტონა ნედლეული.

დღეისათვის ბრიგადის წევ-

რებს დამზადებული აქვთ წლიური დავალების ნახევარზე მეტი ნედლეული, რომლის 70 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ეს მანქანებელი თვისთავად არ მოსულა. ეს ნანი ნაქებობას ლიანა ქაბუას, ლუსიკო ქვარაიას, თინა როგავას, ლუარა დარახელიას და სხვათა მონაწილეობითი შრომის ნაყოფია.

უზმუროდ, უპრეტენზიოდ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ამზადებენ ნედლეულს ბრიგადის წევრები.

## განსაკუთრებული წეიში იყო

იმ დღეს ქალაქის 108 ბავაბაღში (გამგე მერი კორკელია) უფროსი ჩუფუის აღსაზრდელებმა წეიშით აღნიშნეს სხვაგვარ ბაღის დამთავრება.

ერთმანეთს ენაცვლებოდა სიმ

## სკოლისაკენ გზა დაულოცეს

ქრები, დეკები, მრავალი მათგანი პატარებმა მიუძღვნეს თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლის მერაბ კოსტავას ხსოვნას ანთებული სანთლებით ხე-


ლში დუმილით მიიგეს პატივი. წეიში დიღანს გაგრძელდა, მღეროდნენ ნორჩები და თითქოს გრძობდნენ დიდ პასუხისმგებლობას საქართველოს მომავლის

გამო, თუშვი ბოლომდე გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც ამაყად ამბობდნენ: „მთელ სამშობლოს აუყვავებთ, მთა-ბარს ავამღერებთ, ჩვენ მომავლის გამირები

ვართ, გწამდეთ, დაგვიჭერთ!“

წეიში ეხრებოდა და პატარებმა სკოლისაკენ გზა დაულოცა და დაიანების სასახლის კარის ეკლენის მომღვარება მამა მიქაელმა.

მბრინა ბარაბაძე,  
აღმზრდელი.



**ქალაქის №1 ავთიაქსი, რომელიც მიითვლებს თითქმის საუკუნეს, თავისი მდიდარი ტრადიცია აქვს. სხვათაგან განსხვავებულ ავთიაქში შესვლისთანავე იგრძნობა თბილი ვარგო, სიმყუდროვე, კლიენტთა პატივისცემა. სწორედ ამან გადამწყვეტინა რამდენიმე კითხვით მიმემართა უმაღლესი კატეგორიის პროფიზორის, ავთიაქის გამგის ზანირა ბარბაქაძის ხელის:**

— ქალბატონო ზანირა, როგორც ვიცო, თქვენ დღეს განაგებთ მდიდარი ტრადიციის №1 ავთიაქსს, ვინ იყვნენ პირველი ავთიაქარები და რა როლს ასრულებდნენ ისინი მოსახლეობის მომსახურების საქმეში?

— აღრიან წლებში (გასაბჭოებამდე), ზუგდიდში ყოფილი გერმანელი სპეციალისტის შატოილის ავთიაქი, მას ასევე თბილისში, კეცხოველის ქუჩაზე ჰქონია კერძო ავთიაქი, რომელიც გასაბჭოების შემდეგ გადაუთქმინა სამედიცინო ინსტიტუტისათვის, სადაც დღეს ფარმაცევტული ფაქულტეტის სტუდენტები გადიან პრაქტიკულ მეცადინეობებს. შემდეგ, ზუგდიდში გახსნილია „წითელი ჯვარი“ ავთიაქი, სადაც მუშაობდა ქუჩათა ისევე ვასილ კიკნაძე. საგრძნობო ქარხანასთან, ვინც ლევან აფაქიძის ორსართულიანი სახლის წაბლის მასალისაგან აუშენებიათ ცალკე ავთიაქი, (ამჟამინდელ ავთიაქსეპციის შე-

ნობასთან, რომელიც ფუნქციონირებდა 1963 წლამდე. 1937 წლამდე ავთიაქს განაგებდა პროფიზორი იოსებ კეცხოველი, გადმოცემით ფრიად გაინათლებული და შესახებავი პირი იყო.

ზუგდიდის მაზრაში მოქმედებდნენ კერძო ავთიაქები, რომლის მფლობელი იყვნენ ჩხორიაში—სამსონ ჯიქია, ცაიშში—ილია მეუნარაძე, კახათში—ევგენი ნადარეიშვილი, ორჯონიკიძეში—ჩაჩხაია. როგორც მოგახსენეთ ქალაქ ზუგდიდში იყო ერთადერთი ავთიაქი. ი. კეცხოველის შემდეგ ავთიაქს განაგებდა საქართველოს დამსახურებული პროფიზორი, საქმისმცოდნე და მრავ-

ალი სპეციალისტის აღმზრდელი ხარტონ ჯანაშია. ფარმაცევტები მუშაობდნენ რთულ პირობებში რვა საათს, ფეხზე დამდგარი, ხშირად ღია ცეცხლზეც კი უბედობრად წყლის გამოხდა... — ეს მაშინ, დღეს კი? — დღეს ექვსსაათიანი სამუ-

შრომის განყოფილების მუშაობა: დ. ბულია, ნ. ყოლანდარია, ი. აბრალევა, ე. კვარაცხელია, ნ. გაბრავა, ნ. ჯანაშვილი. დამფასებლები: ნაროშვილი, ქობალია, ძვანია, ქვარაია. — გამაყოფილებთ თუ არა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა?

სხვადასხვა სახის მუშაობის მარაგს, რითაც ვიმსახურებთ სახლობის უზრუნველყოფას. ძველებურად ვერ ვაფორმებთ იმ მზადებულ წამლებს ჩაჩხაიათა და შესაფერისი ეტიკეტებით, რაც ესთეტიკურ გავლენას ახდენს ავადმყოფზე. ჩვენი უმთავრესი ამოცანა მომსახურების მაღალი კულტურა. ფარმაცევტთა და ექიმთა კოლეგიალობა ვერ კიდევ ვერ დგას იმ დონეზე, რომ პრაქტიკოს ექიმთა მიერ რაციონალურად იქნეს გამოყენებული, როგორც სამამულო, ისე იმპორტული გამოშვების სამკურნალო საშუალებები.

ავთიაქში ორმოცდაათამდე თანამშრომელია. იშვიათად ნახავთ მოსვენებულთ. მიღწევებით არ კმაყოფილებიან.

მათ კარგად ესმით, რომ უფლება არა აქვთ შელახონ „ფარმაცეის“ სახელი და როგორც ძველად სიტყვა „ფარმაცეისი“ ქვეშ იგულისხმებოდა „მფარველი“ და „მხსნელი“— ისინი უნდა მოევიწიონ მფარველად, მხსნელად, წამლად ჩვენს ხალხს, ჩვენს ერს...

ესაუბრა თსუ შურ-ა. ნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი. ცირა თორია,

## პირველი ავთიაქი — პირველთაგანი გ უ გ დ ი დ უ რ

შო გვაქვს, მკდომარე მდგომარეობა. ვიყენებთ ბიურეტულ სასტემას, თანამედროვე აპარატურა-დანადგარებით სავარაზოდ ვადიდებულა შრომის-წყაფერება.

ავთიაქში ენერგიულად მუშაობენ გამოცდილი პროფიზორები: გამგის მოადგილე—პროფიზორი მ. ბერულავა, მ. ანთია, ლ. ლომია, ნ. ლატარია, ვ. შამიათავა, ო. კვაბაძე, ისინი ბედნიერად თვლიან თავს, რომ ახალგაზრდობასთან ერთად ჩამუდონი არიან შრომის ფერხულში. დიდ პატივისცემას იმსახურებენ ახალგაზრდა ფარმაცევტები: ლ. სიჭინავა, მ. ზერულავა, ზ. ბერულავა, ქ. პაბავა, რ. ჩახაია, მზა წამლთა

— ავთიაქი თავისი სათავსოებით არასრულყოფილია, გამოყოფილი ოთახებიც მოუხერხებელია პრაქტიკული მუშაობისათვის, შენობის განლაგება ისე დაგეგმილი, რომ არსებულის შეცვლაც არ შეიძლება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ავთიაქის კოლექტივი მაქსიმალურად ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

— რას გვეტყვით პროფ. მუხომბის შესახებ? — პროფ. მუხომბი ბევრია. გუშინდელი შრომა არ კმარა ხვალისათვის, ვინაიდან, საზოგადოების განვითარება მოითხოვს შრომის ორგანიზაციის შეცვლას. ვერ ვქმნით თვეში ათასობით

**გიწვივთ საქველმოქმედო კონცერტში!**

18 ივლისს 18 საათსა და 30 წუთზე ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდება ქართული ესტრადის ვარსკვლავთა დიდი საქველმოქმედო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლები „ნიმარია“ და „ბერიკონი“, „ორი ჯუჯა“— ვახტანგ ტაბიშვილი და ნუგზარ კვაშალი, „ოთხი გიგა“, მანანა თოღაძე, გიგინა მახარაძე, აბრამთა ევროპის ჩემპიონები პარკობატისა.

„ორი ჯუჯა“ აირჩევს ქალაქ ზუგდიდის 1981 წლის სილამაზის დედოფალს, რომელსაც გადაეცემა ფულადი პრემია. ბილეთების წინასწარი გაყიდვა იწარმოებს სალაროებში. ბილეთების ღირებულება 10 მანეთი.

იყიდება და გათამაშდება ერთგულთების ლატარია, რომლის ტირაჟი უნდა გამართულიყო 21 ივნისს. ზუგდიდის საზოგადოებრივი კლუბი „ოლივი“.

**გვინდა სასმელი წყალი**

სუფთა წყალი პირველი ყველას სჭირდება, მაგრამ ჩვენს მშობლიურ ქალაქში ბევრისთვის იგი პრობლემა გახდა. მათ შორის ვინც უწყლობის გამო სამართლიან საყუდურს გამოთქვამს, არის უნგელსის ქუჩაზე მცხოვრებთა 15 ოჯახი. დანარჩენ მოსახლეებს აქვთ წყალსადენის წყალი. უნდა ითქვას ისიც, რომ უმრავლესობას არა აქვს ქა, ბევრი კი ისე გაბინძურდა, რომ უვარგისია სასმელად. ეთხოვთ შესაბამის სამსახურებს გაგვიწიონ დახმარება.

**თ. ლურჯაძე.**

**ნ. ბ. ნადარია**

ზუგდიდის კოლექტივის გამოაკლდა №1 უნივერსიტეტის სექციის უფროსი, სამრეწველო საქონელმცოდნე ნაპო ბიძგორის ძე ნადარია.

იგი დაიბადა 1928 წელს მარტვილში. სპეციალური საშუალო განათლების მიღების შემდეგ 1962 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ზუგდიდის ვაკუუმის სისტემაში. მუშაობის პერიოდში გამოიჩინა როგორც ინიციატივანი, კომერციული საქმიანობის მცოდნე. სე-

ქციას, რომელსაც განაგებდა უნივერსიტეტის მთლიან მოგებაში შექმნიდა დიდ წვლილი. აღარ არის ჩვენთან საუკეთესო მეგობარი და ამხანაგი. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს შემორჩება კოლექტივის ყველა ზუგდიდელს, ვინც მას იცნობდა.

№1 უნივერსიტეტის კოლექტივი.

**რედაქტორი აბ. ზანტურიანი.**

შვილი ჟორა გაგუა. რძლები: ნანო ბეგლავა, მია ქობალია, შვილიშვილები: აზა, თემური, შვილთაშვილი გიორგი გაგუა, ძმისშვილები ლეონი, არველი. გიგლა. ლუბა შედანიანი, ბიძაშვილები: ლილია, დავით, ფიქსი, იროდი, გურამ, სოსო ჩიქობავაძე, იროდი, კარლო, ნოდარი, გურამი აბულაძეები, დედა-შვილი გული ქვარია. მშლილი ლუბა ჭანია, მამულიშვილები: ნუე. ესტერი ქვარიაძე, ვანიჩა, ქა, გლდარი კვარცხალიაძე, ალიოშა, ჯანიკო, ლოთი, ნუგზარი, თალო, თინკო, ნათელა გაგუა, ნათელა, ვარდო ჯორჯაძეები, მზია, გულადი ჭანიები, ახლო ნათესავეებით იუწყებიან

**ლუბა (ვალა) მარკოზის ასულ აბულაძე-გაგუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18, 19 ივლისს. დაკრძალვა 20 ივლისს დასრულდა.

მეუღლე გული, შვილი მია, დები: მარგუშა, ლამარა. ძმა ბონლო, მამია ალასინე, დედა თამარა ჯიქია, რძლები: გოგოლა, ვალია, დოდო. მანანა. როზა. სევეტა. სიძეები: კახა ჭანტურია, ორდე, შამუგია, მეღენტი ჩუხუა, შვილიშვილები: ნიკა, ლიკა ჭანტურია, სიმპრი სტეფანე მიქაია, ცოლისძებნი ლამარა, ქეთია, ცოლისძებნი: სერიოჟა, ნუგზარი, ჯემალი მიქაია, დისშვილები: გლდარი, გიგლა შამუგია, თამელა, ქეთინო, ლეა. მამუკა ჩუხუაძე, ძმისშვილები: ზოია, მანანა, ბადრი, ზანტუა, მარინა წიწვები. მზახლები შაქრო, გულნარა ჭანტურია, ბიცოლები თამარა, ლუბა, მამიდაშვილები, დედა-შვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავეები იუწყებიან

**გივი (ბოჩიკო) იასონის ძე წიწვას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19, 20 ივლისს, დაკრძალვა 21 ივლისს სოფ. ციანში.

მეუღლე ზოია, შვილი თამარა, დები: ვივიანა, თინა კაზლოვსკი, შვილიშვილი გლადიმერი, სიძეები: ვალერი ზაქარაიასკი, ლიონტი გვარამია, დედები: ლოლა შამუგია, თამარა ლომია. ბიძა იპოლიტე კვიციანი, ბიცოლა თათუშა პაქარი, დედა-შვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**აბესალომ (აბიკო) ნიკოლოზის ძე კაზლოვსკის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 ივლისს. დაკრძალვა 20 ივლისს 6 საათზე. გამოსვენება ქ. გამსახურდიას ქ. (ყოფილი ლენინის) 108-დან.

მეუღლე სერიოჟა. შვილები: მზევინარი, მზისადარი, ნიურა. რძლები: ინგა მეღია, ნიურა ცანავა. დედამთილი ცაბუა შამათავა, შვილიშვილები: გიორგი, კახა. მამუკა, მაიკო. თამუნა, დათო. თეონა, თეა. დები: ლუბა, კატრუშა, ძმა ვაჟა ჩიქუაძე, დისშვილები: ვალტერი, გივი. დიმიტრი თაკაციები, ნიზი, იზოლდა ტრისტანი ბერულავები, ძმისშვილები: რამაზი, მურთაზი, დავო. ზურაბი ვეკუაძე, ბიძა ვალიკო ბერია. სიძეები: თამა ფაცაცია, იაშა მიჩრეტლავა, ზურაბ მარკელია, მზახლები: თინა, ნივდიკ მეღიაძე, ნიურა, ყორცი მირცხულავები, ნათელა, ველოდი მარკელიები, დედაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავეებით იუწყებიან

**ალექსანდრა (შურა) მუხარას ასულ ვეჟუა-გოგაის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18, 19 ივლისს. დაკრძალვა 20 ივლისს სოფელ რიყეში.

დედა ლილია, მეუღლე თალიკო. შვილები ნუნუ, ნატო. მირაბი თოდუბი, ძმა ლულუნი, თოდუა, რძლები: ნათელა მოსია, მარინა წულაია, ძმისშვილი ჯონი. სიძეები ზურა გვილაკა, ბუდინიკი კონიევი, შვილიშვილები: თემური, ხათუნა გვილაკა, ბადრი, კობა კონიევი, ბიცოლა ნორა თოდუა, დედები: თემბო, ივლიტა. ლუბა ქვიციები, მამიდაშვილები: ნალია, გოგონა თოდუბი, დედაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**პავლე ნაპოს ძე თოდუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18, 19 ივლისს. დაკრძალვა 20 ივლისს. გამოსვენება ინგირი, დადიანის ქ. 19.

დედა ლოლა შვილებით: დემურ, ქსენია, ეთერი. ლამარა შამუგია, რაბო მედიკო ტაბალოა, სიძეები ჯანიკო ჭანია, ვალერიან ფინჩაია, გურამ კარტოზია, შვილიშვილებით ლადო, გიორგი შამუგია, მარინა, მანონი ჯორჯიები, ქეთინო, როლანდი ჭანუაძე. თამარიკო ფინჩაია იუწყებიან

**აბიკო ნიკოლოზის ძე კაზლოვსკის** გარდაცვალებას.